კიდევ ერთი უშედეგო მატჩი

გორკი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 23 აგვისტო.

“ვოლგა” (გორკი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

“ვოლგა”: კარასევი, ლუნინი, სელივანოვსკი, შაფრანსკი, კალაშნიკოვი, ბრედნევი, კისელევი, გოლოვენკოვი გოლოვი, ალექსიუტინი, მიხაილოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი (კალოევი), მესხი.

მსაჯი: მ. პინსკი (ხარკოვი).

მასპინძლებს ქულა სჭირდებოდათ, როგორც არასოდეს. ზედიზედ განცდილმა ორმა წაგებამ “შახტიორთან” და კიევის “დინამოსთან” საგრძნობლად შეარყია “ვოლგის” პოზიციები ცხრილის შუაგულში და საკმარისი იყო კიდევ ორი ქულის დაკარგვა, რომ გუნდი ისევ მჭიდროდ უახლოვდებოდა აუტსაიდერთა ჯგუფს. ამიტომ მატჩი ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიცაა თბილისის “დინამო”, ვოლგელებმა ჩაატარეს მთელი თავიანთი შესაძლებლობით და, უნდა ითქვას, მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს - აიღეს მეტად საჭირო ქულა.

“ვოლგა” პირველ ყოვლისა საკუთარი კარის უხიფათობაზე ზრუნავდა, მაგრამ თავდამსხმელები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყოველი მცირე შესაძლებლობა შეტევისათვის, კერძოდ ის, რომ დინამოელებს ამ დღეს დაცვაში აკლდათ ორივე ძირითადი სტოპერი - ხურცილავა და ზეინკლიშვილი. მე-12 წუთზე კოტრიკაძეს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ბ. სიჭინავამ თითქმის უიმედო მდგომარეობაში შეძლო კარის ხსნა აშკარა გოლისაგან. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან.

მეორე ტაიმში უპირატესობამ თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა. ჯერ მეტრეველმა, ხოლო შემდეგ ბარქაიამ უაღრესად ხელსაყრელ ვითარებაში ვერ შეძლეს ზუსტი დარტყმებით დაემთავრებინათ შეტევა და ხელიდან გაუშვეს ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა. სტუმრებმა ვერ დაძლიეს “ვოლგის” დაცვა და იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ფრეს - 0:0.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს თავისი 250-ე მატჩი ჩაატარა ზ. კალოევმა “ა” კლასის გუნდებს შორის.

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩიც დამთავრდა ფრედ - 1:1. თბილისელთა მხრივ ბურთი გაიტანა ვეკუამ.

ვ. კირილოვი (ტელეფონით).

“ლელო”, 25 სექტემბერი, 1964 წ.